საქმის მახასიათებლები:

საქმის დასახელება - რიაკიბ ბირიუკოვი (Ryakib Biryukov) რუსეთის წინააღმდეგ

საჩივრის ნომერი - 14810/02

მოპასუხე სახელმწიფო - რუსეთი

გადაწყვეტილების მიღების თარღი - 17.1.2008

შედეგი: დაირღვა კონვენციის მე-6(1) მუხლი

საკვანძო სიტყვები:

(მუხლი მე-6) სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება
(მუხლი მე-6) სამოქალაქოს სამართალ წარმოება
(მუხლი მე-6-1) გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება
(უხლი 41-ე) სამართლიანი დაკმაყოფილება

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წელი. თარგმანი მომზადებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მიზნობრივი ფონდის მიერ (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ავალდებულებს სასამართლოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სრული მითითება საავტორო უფლების შესახებ დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012 [or subsequent year]. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012 [ou année suivante]. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #104

იანვარი 2008

რიაკიბ ბირიუკოვი (Ryakib Biryukov) რუსეთის წინააღმდეგ - 14810/02

გადაწყვეტილება 17.1.2008 [I სექცია]

მე-6 მუხლი

სამოქალაქო სამართალწარმოება

მუხლი 6.1

Public judgment

სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის საჯაროდ გამოუქვეყნებლობა: *დარღვევა*

ფაქტები: განმცხადებელმა სამოქალაქო დავა წამოიწყო საავადმყოფოს წინააღმდეგ სამედიცინო დაუდევრობისთვის. მისი საქმე არსებითად განიხილა რაიონულმა სასამართლომ პირველი ინსტანციის განხილვის წესით საჯარო სხდომაზე. სასამართლო განხილვის დასასრულს წაიკითხა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, სადაც ის უთითებდა, რომ არ აკმაყოფილებს განმცხადებლის საჩივარს სამოქალაქო კოდექსის 1064-ე მუხლის საფუძველზე. მოტივირებული გადაწყვეტილება განმცხადებელს გადაეცა მოგვიანებით. ამ გადაწყვეტილებაზე განმცხადებლის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი წაიკითხა სააპელაციო სასამართლომაც ღია სხდომაზე.

კანონმდებლობა: სასამართლოს წინაშე სადაო გახდა შემდეგი, სამოქალაქო სამართალწარმოებისას სრულდებოდა თუ არა გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნა ღია სხდომაზე გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებით. ეს თავის მხრივ მოიცავდა ასევე საკითხს, ქონდა თუ არა საზოგადოებას წვდომა დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე და უზრუნველყოფილი იყო თუ არა მისი ხელმისაწვდომობა საჯარო ზედამხედველობისთვის. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი გადაეცემათ მხოლოდ მხარეებს და პროცესის სხვა მონაწილეებს ან მათვე შეუძლიათ მოითხოვონ ეს გადაწყვეტილება სასამართლოს რეგისტრატურიდან. ამას ემატებოდა ისიც, რომ ის საფუძვლები, რასაც ემყარებოდა საქმის არსებითი განხილვის შედეგად რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, გარდა სარეზოლუციო ნაწილში მითითებული სამოქალაქო კოდექსის 1064-ე მუხლისა, უცნობი დარჩა საზოგადოებისთვის. 1064 მუხლი ადგენს ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობის ზოგად საფუძვლებს, ასევე სარეზოლუციო ნაწილი არ ასახავდა იმ მთავარ პრინციპს რითაც იხელმძღვანელა სასამართლომ და შესაბამისად არ იყო ინფორმაციული მოქალაქეებისთვის. შესაბამისად, განმცხადებლის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძვლები, რომლებიც გასაგებს გახდიდა თუ რატომ ეთქვა მას უარი, არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.

დადგენილება: დარღვევა (ერთხმად).

41-ე მუხლი - დარღვევის დადგენა თავისთავად წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას არამატერიალური ზიანისთვის.